მიტროპოლიტი ილარიონი იერუსალიმის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურს შეხვდა

2021 წლის 5 აგვისტოს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კირილეს ლოცვა-კურთხევით, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარე ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ილარიონი სამუშაო ვიზიტით იორდანიას ეწვია.

ქვეყნის დედაქალაქ ამანში მიტროპოლიტ ილარიონსა და წმინდა ქალაქის იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის უნეტარეს პატრიარქ თეოფილე III შორის შეხვედრა შედგა. სსკგ-ს თავმჯდომარემ მის უნეტარესობას რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურისგან თბილი მოკითხვა გადასცა. საუბრის დროს საერთო ინტერესის რიგ საკითხებს შეეხნენ, მათ შორის, მსოფლიოში არსებულ მდგომარეობას კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით და მასთან დაკავშირებულ ეპიდსაწინააღმდეგო შეზღუდვებს, რაც გავლენას ახდენს საეკლესიო ცხოვრების ჩვეულებრივ დინებაზე.

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო სსკგ-ს მდივანმა მართლმადიდებელთაშორისი ურთიერთობების საკითხებში დეკანოზმა იგორ იაკიმჩუკმა.

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87849/